



KA020182270882920

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრი



MINISTER OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს 2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 14/3915

24 / ივნისი / 2020 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს ბატონ
ლევან კობერიძეს

ბატონო ლევან,

თქვენი მიმდინარე წლის 11 ივნისის (N 4857/3-48/20) წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობა, მუშაობს საქართველოს ეკონომიკის განვითარების გეგმაზე COVID 19 პანდემიით გამოწვეულ კრიზისულ და პოსტ-კრიზისულ პერიოდში. აღნიშნულ გეგმაზე მუშაობა მიმდინარეობს 2 სხვადასხვა საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფთან ერთად. საქართველოს მთავრობა აშშ განვითარების სააგენტოს ეკონომიკური მმართველობის პროგრამის (USAID Economic Governance Program) ფარგლებში, მუშაობს დელოიტ კონსალტინგის ექსპერტებთან ერთად ეპიდემიის პირობებში მთავრობის მიერ სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასებისა და პოსტ-კრიზისული ეკონომიკური განვითარების მიმართულებების პრიორიტეტებისა და გეგმის შემუშავებაზე. საქართველოს მთავრობა ასევე მუშაობს UNDP-ს მიერ მოწვეულ ექსპერტებთან ერთად, კვლევისა და პოლიტიკის დოკუმენტის - „სტრუქტურული ცვლილებები საქართველოს ეკონომიკაში გაზრდილი განუსაზღვრელობის პერიოდში“ შემუშავებაზე, რომელშიც შევა ძირითადი რეკომენდაციები ეკონომიკის რესტრუქტურის შესახებ სანარმოო სტრუქტურისა და ეკონომიკის შესაძლებლობების შესახებ. აღნიშნული მოიცავს ფინანსურ, ფისკალურ სექტორებს, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

აშშ განვითარების სააგენტოს ეკონომიკური მმართველობის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაო სრულად ფინანსდება აშშ განვითარების სააგენტოს მიერ და აღნიშნული სამუშაოს დასრულება დაგეგმილია 2020 წლის ივლისში. პროექტი ჩართულია საერთაშორისო ექსპერტების გუნდი:

- ლუის პანიაგა - პროექტის მენეჯერი
- ვორენ ქოუთსი - მონეტარული ეკონომისტი
- სტივენ სიმანსკი - ფისკალური ეკონომისტი
- ჯესიკა მაინო - ეკონომიკური მმართველობის მრჩეველი
- სტივ ლევარნი - ეკონომიკური მმართველობის მრჩეველი
- რონ მაკმორანი - ფისკალური ღონისძიებების მრჩეველი


UNDP-ს მოწვეული ექსპერტების მიერ განსახორციელებელი სამუშაო სრულად ფინანსდება გაეროს განვითარების პროგრამის მიერ და აღნიშნული სამუშაოს დასრულება დაგეგმილია 2020 წლის აგვისტოში.

კვლევაში ჩართულები არიან შემდეგი ექსპერტები:

- ჰა ჯუნ ჩანგი: წამყვანი მკვლევარი. კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, განვითარების პოლიტიკის ცენტრის ხელმძღვანელი (კემბრიჯის უნივერსიტეტი).
- ქრისტოფერ ქრამერი: მკვლევარი სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და ექსპორტის წახალისების დარგში
- ჯონატან დი ჯონი: მკვლევარი საგადასახდო, საფინანსო და ენერჯეტიკის სექტორში
- კირილ ზაჩი: დამხმარე მკვლევარი

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტრონულად 

ნათელა თურნავა